


„საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული
სამსახური“

„State Hydrographic Service of Georgia“



საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური



მეზღვაურთა უწყებანი

უწყება №
13-15

გამოშვება №09
თარიღი: 5 სექტემბერი 2013წ.

საზღვაო რუკები და სახელმძღვანელოები უნდა იქნეს შესწორებული მეზღვაურთა უწყებების მიხედვით.

მეზღვაურთა უწყებანი ქვეყნდება როგორც ცალკეული გამოცემა და ყოველ გამოცემას აქვს საკუთარი რიგითი ნომერი. ნუმერაცია ნარჩუნდება მუდმივად, მთლიანი კალენდრული წლის განმავლობაში.

მეზღვაურთა უწყებანის გამოცემის მიზანია: დროულად მიაწოდოს ინფორმაცია მეზღვაურებს მომხდარ ცვლილებებზე: როგორც სანავიგაციო ვითარებით ასევე ნაოსნობის რეჟიმში.

საზღვაო რუკებისა და ღოცის განახლებისთვის საჭიროა მეზღვაურები ინფორმირებულნი იყვნენ სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის მიერ, შემდეგში:

- I. ახალი აღმოჩენილი დაბრკოლებები როგორცაა: მარჩხობი, მენები, კლდეები, ქვები და ასევე ვულკანური წარმონაქმნები.
 - II. ნებისმიერი ცვლილებები რუკებსა თუ სანავიგაციო სახელმძღვანელოებში.
 - III. აუცილებელი ინფორმაცია თვალსაჩინო ნიშნებისა და ობიექტების რუკებზე დასატანად და სხვა ინფორმაცია, რომელიც გაამარტივებს უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველყოფას.
- მონაცემები და ადგილ მდებარეობა დაბრკოლებების შესახებ, რაც შეიძლება ზუსტად არის წარმოდგენილი. პუბლიკაციებზე წარგზავნისას მითითებულია პუბლიკაციის ნომერი და გამოშვების წელი. რუკებზე გეოგრაფიული კოორდინატებით წარგზავნისას მითითებულია რუკის ნომერი და გამოცემის წელი.

ინფორმაცია მეზღვაურთათვის

მეზღვაურთა უწყებებში ობიექტების ადგილმდებარეობა მოცემულია გეოგრაფიულ და პოლარულ კოორდინატებში, გრძედები მოყვანილია გრინვიჩიდან. მოყვანილი კოორდინატები შეესაბამება მსხვილმასშტაბიანი რუკების კორექტირებას. რეკომენდირებული გზების თუ კვეთების მიმართულებები ორმხრივია: პირველი ზღვის მხრიდან (პირველი კვეთის ნიშნიდან კვეთის ბოლო ნიშნამდე), მეორე ზღვის ნაპირიდან. განათების მიმართულების სექტორი მოცემულია ვრადუსებში, საათის ისრის მიმართულებით. სიმაღლეები მოცემულია მეტრებში.

ბუნებრივ ობიექტთა სიმაღლეები (როგორცაა: მთები, გორაკები, ბორცვები, კლდეები და სხვა) და აგრეთვე მაშუქების სიმაღლეები, რომლებიც ატარებს სანავიგაციო დატვირთვას ათვლილია ზღვის დონიდან, რომელიც ასევე განსაზღვრავს რუკაზე მოცემულ სიმაღლეებს. ნაგებობათა სიმაღლეები მოცემულია საძირკველიდან. თუ ნაგებობათა სიმაღლეები მოცემულია ზღვის დონიდან ეს არის მითითებული.

მაშუქები, რომლებიც სანავიგაციო მნიშვნელობას ატარებს, მათი ნათების მანძილი განისაზღვრება საზღვაო მილებში. სიღრმეები განისაზღვრება მეტრებში სიდიდიდან რომლებიც ამ რეგიონში ათვლის წერტილად ითვლება და განისაზღვრება როგორც მოცემული რუკის ნული.

რუკები და პუბლიკაციები გამოიცემა საქართველოს ჰიდროგრაფიული სამსახურის მიერ.

სარჩევი

| | |
|--|-----|
| ზოგადი ინფორმაცია----- | 1-4 |
| I.საკორექტურო რუკების და გამოცემების ჩამონათვალი----- | 5-6 |
| II.რუკის კორექტურა----- | 7-8 |
| III.სანაეიგაციო მდგომარეობის ცვლილებები საქართველოს ტერიტორიულ წყლებში----- | 9 |
| IV.სანაეიგაციო რუკების და სახელმძღვანელოების კორექტურა----- | 10 |
| V. სანათსნო მიმართულებების კორექტურა----- | 11 |

I. საკორექტურო რუკების და გამოცემების ჩამონათვალი

| რუკები | | | | | |
|---------------|------------------------|---|------------------------|---|------------------------|
| № | მეზღვაურთა უწყებანი | № | მეზღვაურთა უწყებანი | № | მეზღვაურთა უწყებანი |
| GE103 | 13 | | | | |
| GE11 | 14 | | | | |
| GE103 | 15 | | | | |

| წიგნი | | | | | |
|---------------------|------------------------|---------------------|------------------------|---------------------|------------------------|
| გამოცემის თარიღი | მეზღვაურთა უწყებანი | გამოცემის თარიღი | მეზღვაურთა უწყებანი | გამოცემის თარიღი | მეზღვაურთა უწყებანი |
| | | | | | |

II. რუკების კორექტურა

შავი ზღვა, საქართველოს სანაპირო

13. რუკა № GE103; საქართველო, შავი ზღვა

ფოტოს პორტში გემის შეჯახების შედეგად დაზიანებულ იქნა ღერძული ქერქეჭელა №2423 შემდეგ კოორდინატებში:

$\phi=42^{\circ} 10.07' N$
 $\lambda=41^{\circ} 38.07' E$ სიღრმე: 12 მეტრი

14. რუკა № GE11; საქართველო, შავი ზღვა

საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტმა, ოპერაციების მართვის მთავარმა სამმართველომ ჩაატარა საზღვაო სწავლებები 2013 წლის 21 აგვისტოს 06:00 სთ-დან 22 აგვისტოს 18:00 სთ-მდე, შემდეგ კოორდინატებში:

- | | |
|--|--|
| 1. $\phi=42^{\circ} 22.0' N$ $\lambda=40^{\circ} 48.0' E$ | 3. $\phi=42^{\circ} 22.0' N$ $\lambda=41^{\circ} 15.0' E$ |
| 2. $\phi=41^{\circ} 51.0' N$ $\lambda=40^{\circ} 48.0' E$ | 4. $\phi=41^{\circ} 51.0' N$ $\lambda=41^{\circ} 15.0' E$ |

15. რუკა № GE103; საქართველო, შავი ზღვა

ფოტოს პორტში ღერძული ქერქეჭელა №2423 აღდგენილია საშტატო ადგილზე.

III. სანავიგაციო მდგომარეობის ცვლილებები საქართველოს ტერიტორიულ წყლებში

IV. სანავიგაციო რუკების და სახელმძღვანელოების კორექტურა

V. სანაოსნო მიმართულებების კორექტურა